სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 4 აპრილი სხდომის ოქმით N3 დამტკიცებული) დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში:

ა) დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ)ელექტრონული რესურსების განყოფილება”;

ბ) დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2. ელექტრონული რესურსების განყოფილების ფუნქციებია:

ა) არსებული ელექტრონული ბაზებისა და ელექტრონული კატალოგების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

ბ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების დიგიტალიზაცია და, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მკითხველთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) ბიბლიოთეკის ვებგვერდის განახლება: შინაარსის მომზადება და ატვირთვა;

დ) ინოვაციური პროგრამული და ტექნიკური საშუალებების მოძიება და დანერგვა;

ე) საბიბლიოთეკო საინფორმაციო ელექტრონული რესურსების ადმინისტრირება;

ვ) ელექტრონული კატალოგის ჩანაწერებში შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტების ჩამატება;

ზ) ციფრული დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული მონაცემების მომზადება და ატვირთვა საიტზე;

თ) საერთაშორისო საინფორმაციო ელექტრონული ბაზების მოძიება, შესწავლა, მათ შესახებ ანოტაციების მომზადება მკითხველთათვის და ბაზების მომწოდებლებთან კავშირის დამყარება;